ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2540081

ნომერი: AR1394617

თარიღი : 08.04.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 15.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 12 , (ნაკვეთი N6/49) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 12 , (ნაკვეთი N6/49) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარი ნარჩემაშვილი პ/ნ 01007015722
- წერეთლის 132, ბინა 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობისა და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ფეიქრების ქუჩა N12, (ნაკვეთი N6/49) / ფეიქრების ქუჩა N12, შპს "ეი-ბი-სი ფარმაცია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე I კლასის ღობისა და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური". ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882013642852 27/12/2013 წ. საკადასტრო კოდი N 01.11.19.006.061, N 882013642820 27/12/2013 წ. საკადასტრო კოდი N 01.11.19.006.062, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ფეიქრების ქუჩა N12, (ნაკვეთი N6/49) / ფეიქრების ქუჩა N12, შპს "ეი-ბი-სი ფარმაცია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღობისა და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობას.

ღობე და ჭიშკარი განთავსდეს შპს "ეი-ბი-სი ფარმაცია"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების - N 01.11.19.006.061 და N 01.11.19.006.062 საკადასტრო წითელი ხაზების საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.